

ნიანტი

გამოცემის 46-ე წელი ფასი 20 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომუნისტური

და

ფუფათა

პარტიების

მოსკოვის

საერთაშორისო

თათბირი.

1969 წელი

პლაკატი ნ. მაღაზონიანი



VIETNAM

ВЬЕТНАМ
ПРИВЕ И
БЕРОУЩЕСКОМ
ВЬЕТНАМ


ПОЗОР
АГРЕСОРAM

END THE WAR
IN VIET NAM

BRING THE
G.I.'S HOME
NOW

BRIN
G.I.'s

არის შემთხვევები, როდესაც ტურისტულ ჯგუფებს არაბოროტული ვიდეო ემზადებოდა.



საქართველო
ბიზნესი

— ძია კაცო, მესურსიამოლო ვარ და იქნებ კუდიგორის გზა მიგვასწავლო!

როცა ასეთი დირექტორია

(კინოსცენარის ლიბრეტო)

თუ ვინმე მოყვარულს სურს ფილმის გადაღება, შემოძლია, შესანიშნავი სიუჟეტი მივცე, თანაც მთავარ როლს მე შევასრულებ. მაშ ასე, იწყება ფილმი!

მე, ყელგამოღადრული, თხოვნადქცეული ვეაჯები კინოსტუდიის ერთი კადრის გასამუდავებლად. კადრში მოჩანს წარწერა: „ვიწრო ფირისათვის აპარატურა არა გვაქვს, ხოლო კუსტარულად გამჟღავნება ძვირი ჯდება!“ ცხვირწინ მიკეტავენ კარებს, გავრბივარ მტკვრისპირას. ტიტრზე წარწერაა: „წარვედ წყლისა პირს სევედიანი, ფიქრთ გასართველად...“ ფირს ვაგდებ მტკვარში, შემდეგ აპარატიც მინდა გადავადგო, შემდეგ აპარატიანად მინდა გადავადრდე. თავს ვიკავებ. გამგულელებს ვთხოვ, ნახევარ ფასში შეიძინონ აპარატი. არაფერი გამოდის.

კადრში მოჩანს კალენდარი, რომელსაც თანდათან ეხვევა ფურცლები. ეს იმას ნიშნავს, რომ საკმაო დრო გავიდა. ეკრანზე ვჩანვარ მე. ქურაში მხედება გახარებული, ჩემისთანა კინომოყვარული და მეუბნება, ვაჭრობის სამინისტროს ინიციატივითა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მარჯანიშვილის მოედანზე კინოფოტომოყვარულთა მაღაზიაში გაიხსნა კინოფოტოლაბორატორიაო.

ჩვენ ერთმანეთს ვკოცნით, ვულოცავთ. კვლავ იცვლება კადრი. მოჩანს კონსულტანტ-ლაბორანტი ა. ზარაფიანი. იგი მონდომებით გვიხსნის, გვასწავლის. ეკრანზე მოჩანს ფული, შემდეგ — გასამუდავებელი აბაზანები. ფული! — და ლაბორატორიაში შემოპყავთ წყალი. ფული! — და მონტაჟდება აპარატურა. ეს იმის მინიშნებაა, რომ ამ საქმისათვის დაიხარჯა საკმაო თანხა. ლაბორატორიაში, მცოდნე კაცის მეთვალყურეობით, ჩვენვე ვამზადებთ წამლებს, ვამუდავებთ ფირებს და იქვე, იატაკქვეშეთში ვნახულობთ მასალას.

თანდათან იზრდება კინომოყვარულთა რიცხვი. ერთი სიტყვით, ყველა კმაყოფილია.

ისევ კალენდარი. ისევ ეხვევა ფურცლები...

მაღაზიაში შემოდის ქალი. ტიტრზე წარწერა: „ახალი დირექტორი ი. ჭკადუა“. ჭკადუა გაბრაზებულია. წარწერა: „თუ მოყვარულები არიან, თვითონ გაამუდავონოხ, ისე კი, კონსულტაცია სრულიად საკმარისია“.

იცვლება კადრი. ლაბორატორიას აცლიან აბრას და უკეთებენ წარწერას: „საწყობი“. შემდეგ კინოსადემონსტრაციო დარბაზსაც აცლიან წარწერას და აწერენ: „სასადილო“. ისევ მოჩანს ი. ჭკადუა. კადრზე წარწერაა: „გაუშვი, ა. წერეთლის გამზირზე მდებარე კინოსალონმა იტეხოს თავი!“

იწერება ხელშეკრულება კინოფოტოსალონთან. კადრში მოჩანვარ მე და რამდენიმე კინომოყვარული. ხელში გვიჭირავს ფირები, რომლებსაც ვვლევთ. ეს იმას ნიშნავს, რომ კინოფოტოსალონის მიერ გამუდავებული ფირები უხარისხოა.


ისევ მტკვრისპირი. მაგრამ, ჩემს გარდა, იქ სხვა კინომოყვარულებიც არიან, ყველანი დავრბივართ და ვვხვეწებით გამგულელებს, იყიდონ ჩვენგან კინოაპარატი, მაგრამ არაფერი გამოგვდის.

იცვლება კადრი. ჩვენ თბილმრეწვევაჭრობის დირექტორ ა. ქირიასთან ვართ. ა. ქირია ყურადღებით გვიხსენს. აღშფოთებულია. მაღლობა ღმერთს, ამდენ მოყვარულეებში ერთი პროფესიონალი ვნახეთ. ჩვენთან ერთად განიცდის და გვაპირდება ლაბორატორიის აღდგენასა და მის შემდგომ გაფართოებას. კმაყოფილებით ვტოვებთ თბილმრეწვევაჭრობას.

ეს იქნება პირველი სერიის დასასრული. თუ როგორ განვითარდება მფორე სერია, ჯერჯერობით არ ვიცით, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაფერი კარგად წავა. იმედითაა ადამიანი!

მ. საღრუზი

ნ.ხ. მამია მალაზონ ასი



— ეს მაღაზია უგაყვიღველოა?
— არა, შვილო, უაროლუქტოა!

უმაღლესი უმასკალთა დასახარებლად

საოჯახო ბრამატიკა

- ცოლი — შემასმენელი
- ქმარი — ქვემდებარე
- შვილები — შორისდებულები
- სიდედრი და სიმამრი — პირდაპირი დამატებები
- დედამთილი და მამამთილი — უბრალო დამატებები
- ცოლის ნათესავები — ირიბი დამატებები
- ქმრის ნათესავები — ნაწვლაკები

მეფველეთ, მისრჩობი...
 ფულში რუმ იხრემოლო, რატომ გა-
 შინ არ მისახლოდი... ჩაო!



***** გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი *****

სამედიცინო ინსტიტუტი დამატებით აცხადებს, რომ წელს პირველ კურსზე უგამოცდოდ მიიღებინა ამავე ინსტიტუტის ის კურსდამთავრებულები, რომლებიც სამუშაოდ რაიონებში გაანაწილეს, მაგრამ არ წავიდნენ, დარჩნენ თბილისში და აქვე უსაქმურობის არანაკლები 5 წლის სტაჟი.

რესტორანი „გემო“ ოჯახებიდან აწარმოებს გემრიელი კერძების შესყიდვას 80 პროცენტი ფასდაკლებით (ჭურჭელი ჩვენია).

ბრანს „სრულ წესრიგს“ ესაჭიროება დამლაგებელი!

14 აბვისტოს, დღის 12 საათზე, № 1 შემნახველი სალაროს უმცროსი შემნახველი მუშაკი შ. ფულარია დაიცავს დისერტაციას თემაზე: „პირველი შემნახველი სალაროს არსებობის უტყუარი ფაქტი მე-19 საუკუნის II ნახევრის იმდროინდელ საქართველოში (ხალხური „არსენას ლექსის“ „ჩემი შვიდასი თუმანი კასპში, ერთ დიდ კლდეში დევსა“-ზე დაყრდნობით)“.

კორპორაციული გაერთიანება „ხორუმი“ აცხადებს მიღებას ცეკვების შემსწავლელ კურსებზე 1969-1970 საცეკვაო წლისათვის (ქართული სექტორის დაუსრულებელი განყოფილება).

მოფიქრებით დაწერილ სპეციალურ განცხადებას

აუცილებლად უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. დაბადების მოწმობა; 2. ატესტატი ან დიპლომი; 3. ოთხი დახასიათება-რეკომენდაცია, გაცემული მშობლების მიერ; 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 5. სპეცტეტით დამოწმებული რვა ფოტოსურათი, გადაღებული — 4 უჭედოდ, 4 — ქედით; 6. ცნობა ჯანმრთელობის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ (ფორმა 286 ან 572); 7. პასპორტი (დედანი); 8. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ხელმოწერილი და მრგვალებუქედდარტყმული წარმოების, თუნდაც დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; 9. პირადი საქმე (დედანი); 10. კადრების აღრიცხვის ფურცელი (დედანი ან მამანი); 11. საპროტექციო წერილი (დედანიც და ძალიც); 12. ავტობიოგრაფია—10-12 გვერდი, გადათეთრებული ტუშით; 13. კიდევ რამდენიმე ცნობა (სურვილის მიხედვით).


მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. ცეკვა (წერა, ზეპირი)*; 2. სიმღერა (წერა)*; 3. ქართული (ცეკვა)*; 4. ლექური (ენა და ლიტერატურა)*; 5. ოსური (ცეკვა)*; 6. გეოგრაფია (სიმღერა)*; 7. ნიადაგმცოდნეობა (ფეხის წვერებით ჩიჩქნა)*; 8. მასალათა გამძლეობა (პირადი გამძლეობის პარალელურად)*; 9. ლითონების ჭრით დამუშავება (ხანჯლური)*; 10. ზრდილობა (გასაუბრება)*.

უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღები კომისიის სამდივნოში ყოველდღე (შაბათ-კვირის ჩათვლით).

ვარსკვლავებით ყველგან აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები.

შეკრება ბათუმ მელიამ

ნახ. ბ. შირცხალავასი



თბილქალაქსნობა

333ლი ერთოთახიან, არაიზოლირებულ, უტელეფონო ბინას სამოთახიან, იზოლირებულ, ტელეფონიან ბინაზე ვაკეში, უნივერსიტეტის ახლომახლო.

მსურველს შეუძლია მომაკითხოს მისამართით: III მასივი, IV ქვემასივი, V აქტივი, VI პასივი, VIII დასახლება, VIII კვარტალი, IX კორპუსი, Xა ზეკორპუსი, XI შესასვლელი, XIIბ გასასვლელი, ერთნახევარი სართული, სამოთახიანი ბინის მესამე ოთახი, 3 ზარი ან ექვსჯერ დაკავუნება. ბ ე ნ ი ა ნ ა ც ვ ა ლ ა მ ე.

ნახვა — მთელი 24 საათის განმავლობაში. ვზივარ და გიცდი!

— რა დაეპირა მაგ უგადურს?
 — მანქანის ნაწილები მოვითხოვეთ და სიცილისაგან გული შეუფუხდა...

ვიკინება კითხვანი თქვანი

შეიშულნი წარიღაბის კვალდაკვალ

ამ ციკლა ხნის წინათ ნინაგმა ასე ვადაწყვიტა: თბილისში ძალიან ჩაბოვავცხა, შიდი, გადვილი დახალცილი საქართველოში, იქნენ თვალს წყალი დავალდენი და უკული ვაგახალოხო. საგზაოთან ერთად რადიოცაშია შეშროსული მშრომელთა ჩამდენიმე საზოგადო ჩაიდიო ხურანენ. შე დგხს ვადავლა, ბეგრე იარა თუ ციკლა იარა, შვიდობლი ჩავიდა. ვერ მხროსო მუშეში მვედლოთ, ვადაწყვიტა: მავრამ ბილდის თქვა არ უხერო ვაბე მისკელავად არ მემეტება თვითი და ფარ-ხმალა დუკარა.

ინან ნინაგმა, რომ უფრობის გამო ჩხროჩხუშოში ვერ ავიდა და იქაურნი უ რ ი ს ხ ა ე მ ი ვერა ნახა. თუფცა რას ნახავდა? 1968 წლის სექტემბერში ძველი დაფარვის და ახლის დამოაგრებზე დღევანდ აჩავის ფაქროსმა.

ცეკვაშორის სამშენებლო ორგანიზაცია კი თავს ასე ინუფემებს: ჩხროჩხუშოში ღოშს არანა შერეულულები და პურის საცხობი თუ არ ეწვენება, ამით ბეგრე აჩავერი დაშავდებაო.

დაღონებული ნინაგ უკან გამობრუნდა და ხ მ ბ ი და ნ ა მ ტ რ დ ი ა მ ი ნ ა მ უ ლ ა.

სამბარლი ძველიაანევი განიქმეული იყო კარგი მიწის ნაღონებითა და მებაღეურებით. ამ ტრადიციის არც ახლა დღევანდემ აქვენი მშობელები, შარტი ვასკლ წყლის მებაღეურებს მღირსაო ვებნებებენ და ბაჩინი და მონისმარს... 7998-ზე მეტი საცადასა სახის ვაჯიგის თუ უკარგი მანქანების სათადაოგო ნაწილები, რომელთაც თან ამოპყვა წყალში გაბრტყილი საწავი და მრავალი დასახელების სიბინძურე. ვის უნდა უშავდოდენ სამტრედიელს ასეთ უბე ვადალს, თუ არა უკოთისლე მებინებენ ამ ვადას ავტოპობილებზე არც თხოვებამ, არც ვეზობადაც. არც ნილოვამ და იმევე ურთილოვინით, არც მღინარის დადავიანებში წინააღმდეგ მიღებულმა დადგენილებმა!

ახლა სამტრედიელს ისლა დაჩინდა, რომ გუბისწყლის ნაპირის გახსნამ ავტომანქანის სათადაოგო ნაწილების მალახია, ბუნხინისა და ზეთის წერტი და მავალტურის ვადასამუშაველებს სააქრო, რათა უფრო რიხტა-ნელურე ვახადონ ეს მალაინი მღინარე და მთელი ეს ქონება წყალმა არ წიოლია.

ატლიდომუნის მთელი ტერიტორიის თითქმის ერთი მესამედი მხოლოდ ერთი ჩაბოვლა — ხ მ ზ ე მ ი ლს. ამ დროს საქმისაღის არ ოზოვება არც ენერჯია, არც სივარული და მზრუნველობა და, რა თქმა უნდა, არც საწავი. საწავი რამდენიც ვინდა, იმდენია, მხოლოდ არა ხომში, არამედ ზედდღისა და ცხაბათში. ნათელი ბაზისათვის ადვილი კი მართლაც რომ ვარცადა მზრუნველს ხომში.

ვინ მთავლის, რამდენი საწავი იხარჯება საწავის ვადასაქმისად, რამდენი სასურავი ცვდება, რამდენი შრომა და დრო იჯარება?!

მოვგან **სონხ** შევხვით, ყოიდე ერთი ამბავი უნდა მოვითხოვოთ: მას შემდეგ კარგი ბანი ვავიდა... ხომელებს მთის სიღობიდან რაღაც უცნაური ბუქნუეი მოესმათ. შემდეგ დღემამუამ ოსკანითი (ოლონ — არა თბილისის ოსკანითი) პირი გახსნა და ახალსოფლის მიდამოებში ამოიყოფა. მავრამ რა ამბავითა თქვა წყალი?

იმ დღიდან არა მარტო ხომის, არამედ ვეულო ალო-მასლო რაითინების მშობილებსაც ბუნებრივი აბანო აქვთ (არ დადავწყვილი, რომ ამ აბანოს სასურნალო თვისებები აქვს და იგი რესპუბლიკური მინიშენლობის ექორიკადაა აღიარებული).

უწყვედ წყალად შილიან აბანოსენ მშობილები, შილიან და შიდაეულო სოფლები, ზეგრები, ლეინები, კარვები, ნავთქურები.

რას იტყვი, აქ კომენტარებია ზედმეტი და არა ინერტარი!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-IV სესიამ განიხილა მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხი.


სერიოზული ჩამატენა მძლეობითა, ველისპორტში, წყლის სტრამას და სპორტში.



ბასალში კლას მშენი და სახეპრო უშავ დახმობით.



მთავრობის უმაღლესი საბჭოს წევრი მთავრობის წევრი.



სპორტული

საკუთარი აუზებში არ არის შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა. აქ უშოყყალივი ვანილი-ინ უწყლობას.



თანავედროვა ხუთიჭირი



პრასურბული მუშაობისა.

— რას მიტარებს კლივის ბერიტი ხილუნი მამაკაცად... მთელ სოფლებში ბერიტი არ ვაქვს!



სპორტებშია ჩვენი ყოველი არამაგნიტული-ტულად აწიბობის ვაბრების სოფლად.



რეზიის თიკაშორენი — პრ. მისონის სპორტ-ინფორმაციის მთლიანი.



სიტყვებურად არ სრულდება თბილისის სპორტ-კომპლექსის ტერიტორიაზე მუშაობის გეგმა.

— რა ვახე აღინახებენიგის ერთი ხუთიათ კლუბი.

— ახლ უნდა კლუბი, მლა და ღამე მწავილებზე დაიბანი.

— მიკადრებებს ალა და მანკინი.

— ამ მათ ჩაიდა უნდათ, იხან ხომ მწავილებზე არანა!



კალმისტარია



თეთრმა, შავმა, ლურჯმა, მწვანემ, პატარამ თუ ალვისტანამ, გამაწამა, ჯვარზე მაცვა ამ მუღმივმა კალმისტარმა!..

ვიცი, რომ თქვენც ჩემს დღეში ხართ, ამ ამბავს არ გაიოცებთ! — გუშინ ისევ შევიძინე კალმისტარი მეორმოცე.

გავიფიქრე: „მოვისვენე!“ ჯიბეს ჩავდე, სადაც ჯერ არს, პიჯაკი რომ დამითხუპნა, მერე მოდგა ჩემს თეთრ პერანგს!

ავდექე, ყუთში ჩავუძახე, სადაც ყრია სხვებიც დასტად, ზოგს ბურთულა დაეკარგა, ზოგს ჩაუხმა ყელში „პასტა“.

ზოგსაც გრიპი შეეყარა, ზოგს — ინფარქტი, კიბო, ასთმა...

ზოგი შიშვლად ხელთ მიჭირავს, როგორც ხმალი უქარქაშოდ; თუ ესენიც გაფუჭდებო, როგორ გავძლო უგანგაშოდ?!

ნუთუ, მუდამ წუნს ვყიდულობ, მოწმედ ვინ არ დავისწარი; მიმასწავლეთ, სად ვიშოვნო ერთი კარგი კალმისტარი?!

მოწითალომ, მოყვითალომ, პატარამ თუ ალვისტანამ, ლამის წუნევა გამიჩინოს ამ მუღმივმა კალმისტარმა!

ბ. გოგიაშვილი

რა ღროს სიყვარულია!

— ეი!! — მესმის ქუჩაში. თავს ვაბრუნებ და ჩემს ძველ ამხანაგს, შავვგრძან ქალიშვილს ვხედავ. ტროლეიბუსიდან გადმოდის და მიახლოვდება. მართალი უნდა ვთქვა, მახარებს მისი დანახვა.

— აქეთ მოდიხარ? გამოყვევი ბარემ სახლამდე! — ამბობს სიკეკლუციით.

— კეთილი!

— თუ ძმა ხარ, გულახდილად მითხარი, მეტყობა ხნოვანება? შენი შეხედულებით, რამდენის ვიქნები? — სულსწრაფევით მეკითხება და ჩემი ამხანაგი რომ არ იყოს, ალბათ, ქარაფშუტა ქალიშვილის შთაბეჭდილებას დატოვებდა.

— პირუთენლად უნდა ვთქვა, — ვამბობ და აქვე უსირცხვილოდ ვცრუობ, — ოცდახუთი წლისაზე მეტს არ გაეხარ!

ჩემი გულუხვობით თხუთმეტი-ოცი წელი დავაკლი... რა მენადღებება? და, ესეც რომ არ იყოს, რომელი მამაკაცი გაბედავს ასეთ შემთხვევაში უტაქტობას, უხეშობას, უგუნურებას და სხვ.

— ყველა ასე მეუბნება, — დარწმუნებულევით ამბობს იგი.

მაგონდება ახალგაზრდობა, უნივერსიტეტი, ლექციები, ამხანაგები... მაგონდება, რომ მაშინაც ამის გამო წუხდა და, ალბათ, ამიტომ ყოველთვის იღებავდა თმას, შედეგილი თმა ხან ცუდად გამოუდიოდა, გაურკვეველი ფერი-სა, ხან — კარგად, შედარებით ასატანი. პირისკანს სხვადასხვა ხელოვნური საშუალებებით იჭიმავდა. საერთოდ, კონსმეტიკის საკითხებში არ იყო ცუდად გარკვეული.

ახლა ვუყურებ და მეღიმიება. მეღიმიება იმიტომ, რომ მაგონდება ყველაფერი ეს. მეს კი ჰგონია, იმიტომ მეღიმიება, რომ მოხიბლული ვარ მისი ახალგაზრდული შეხედულებით.

— გათხოვდი?
— არა! შენ ითხოვე ცოლი?
— არა! რატომ არ თხოვდები?

— როგორ გავთხოვდები, თუ კაცებმა ქალები არ ითხოვეთ?!

— ერთი ამხანაგი მყავს, ჩემზე ორი წლით უფროსია, 39 წლისაა, უცოლოა, თუ გინდა, დავაჯახებ!

— აქამდე სად იყავი? რას უყურებ მერე?!

— ძალიან წუხს, რომ აქამდე ქალი ვერ მოუყვანია. ზედმიწევნით პატიოსანი და კეთილსინდისიერია. უადრესად ერუდირებული, მაგრამ შეძლებული კაცი არაა.

— მასეთი ჩემი თავიც მეჭაერება! მირჩევნია, ხნეირი იქნოს, ოღონდ შეძლებული...

— თუ ასეა, — ვამბობ თავმოყვარეობაშეგაბული, — ახალაზნს ჩემი ნათესავი დაქვრივდა, სულ რამდენიმე თვეა. პროფესორია. სამოთახიანი ბინა აქვს ცენტრში თავისი სათავსოებით, ტელეფონით... წყნეთში — საკუთარი აგარაკი. არც შვილი ჰყავს, არც ძირი. 63 წლისაა, წაყვები?

— წაყვები, რატომაც არა! ეს ვარიანტი მაწყობს! — ამბობს აღტაცებით, — სასიამოვნო მოხუცია?

— შენ როგორი მოხუცები გოგონს, არ ვიცი და, ისე ძალიან სასიამოვნოა.

— თანახმა ვარ. როდის შეხვდები, რომ უთხრა ჩემს გადაწყვეტილებაზე?

— კი მაგრამ...
— რა?

— 45 წლისაზე ახალგაზრდას არ თხოულობს.


— თუ ძმა ხარ, გულახდილად მითხარი, ხომ ვგავარ 45 წლის ქალს? ა? მითხარი, ხომ ვგავარ?..

რადაცას მივედ-მოვედები, მერე ძლივს ვუსხლტები ხელიდან, ვემშვიდობები და კი არ მივდივარ, მივრბივარ...

— შენი ჭირიმე! თუ ძ-მ-ა ხ-ა-რ!.. — მადვენებს სიტყვას და ეს სიტყვა ყურში ახლაც „მ ი შ ვ ე ლ ე ს ა ვ ი თ“ ჩამესმის.

ბირიან ლეშავა

— ახლა შენი ფასიც გვითხარი! შენ რას მისცემ?!



ნახ. დ. ზარაფიშვილისა



— რატომ არ მუშაობთ?
— უფროსმა გვითხრა, უჩვეოდ ხელი არ განაძრითო!

ყურს ვის უნავენ და ვისა აქვს ასაწვი



დ მ ე რ თ ი: ხომ გავიგონია, ჩემო მიქაელ, კუჩიანს სამა-
რე გაასწორებო? ამ მიქათამეებს შენ გაგარებ!
მიქაელ-გაბრიელი: მამათ მეს ამაცდინეს გზას,
თქვენს ხომ გავიგონიათ, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებო?!

ახალდაბადებული
მთვარესავით აშუქებს,
ექთანს სამახარობლო.
თუმნიანი აჩუქეს.
მომეღელმა თქვა:
მე ბავშვის
დედა მეცოდებოდა,
კარგად რომ არ მომეწლო,
ქალი ეყოლებოდა?!“
კარისკაცი ღიღინებს:
„ვაჟკაცს ვენაცვალე,
მის დედიკოს პირველად
მე გავუღე კარები“.
ძეობის სიხარული
მამას არც კი აცალეს —
სამახარობლოებით
სულ პირწმინდად
გაცალეს...

ზ. ჯორიძე



მთავარი
რედაქტორის
მოადგილე
გიორგი ნიშნიანიძე

სარედაქციო
კოლეგია:
ნ. ლუმაბაძე
(მთავარი
რედაქტორი)
ზ. ბოლქვაძე
(პ.მ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღალაშვილი,
ნ. შვილიძე,
ო. ჭილიძე.

საბრძოლო და იუმორის
შტრანლი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Ниянги».
ბმლ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

სამ. აკ ცკ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცვა ასაწყობად
26/VI-69 წ.

ხელმოწერილია დასა-
ბამად 21/VII-69 წ.

ქალაქის ზომა
70x108 1/8.

ფიზიკური ნაბამი ფურ-
ცელი 1,

პროპორციული ნაბამი ფურ-
ცელი 1,4.

სამ. აკ ცკ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,

თბილისი, ლენინის ა.
№ 14.

ГИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ

ГБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შპპ. № 1938.

შპ02251.

ბირაჟი 112.000.



ოქროს ბიჭის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი
ცოლ-ქმარი. ქმარს ლავროსი ერქვა, ცოლს — და-
ფინო. ჰყავდათ ერთი ვაჟი, სახელად ოქრო. სხვა
თუ წლობით იზრდებოდა, ოქრო დღეობით იყრიდა
ტანს. მალე ისეთი ბიჭი დადგა, ავ თვალს არ ენახე-
ბოდა.

იმ სოფელში ერთ მდიდარ კაცს მთაზე კოშკი ჰქონ-
და აგებული. კოშკში მისი მზეთუნახავი ასული მარ-
გალიტა იზრდებოდა. ერთ დღეს სათახარიდან მო-
მავალმა ოქრომ თვალი მოჰკრა მარგალიტას და მისი
სიყვარული გულში ჩაუვარდა. მაგრამ მარგალიტა მზე-
თუნახავმა ასე შემოუთვალა:

— შენი მიღრინკული სახლ-კარის პატრონმა ჩემი
ქმრობა როგორ გაიფუტ გულში? მე იმას ვეცოდები,
ვინც ექვსას თუმნიან ლურჯას მოაყვრიებს
ჩემს კოშკთან და იმით მომიტაცებსო.

დაღონდა ოქრო. აბა, ექვსას თუმანს ვინ მიაშავებ-
და, ექვსასი კაპიკის საღირალი არაფერი ებადა! იმ სო-
ფელში ცხოვრობდა ერთი კუდიანი დედაბერი. დედა-
ბერმა ოქროს სადარდელი შეიტყო, შეებრაღა და უთხ-
რა:

— რამ დაგაღონა, შე გლახა! მაგ ოყიანი თოხის ბა-
ყუნს, გაინძერი, მიდექი, მოდექი და ექვსას თუმანსაც
იშოვნი და ლურჯასაცო.

— ბარემ გაინძეროდი, მაგრამ საით წავიდე, რომ
არ ვიციო?

— აბა, მე გასწავლი და შენ იცი, თუ პატივისცემას
არ დამიკარგავო: შენს მშობლებს ეზოში ერთი ჯადოს-
ნური ხე უდგათ, მისი ფოთლები ცარიელი ლალი და
ზურმუხტია, ოღონდ მისი ფასი არ იციან და იმ ფოთ-
ლებს ლობიოში საკმაზად ხმარობენო. რომ დაღამდება,
აიღე ერთი ტომარა, იმ ხის ფოთლები დაკრიფე და
გზას გაუდექი. აღმოსავლეთისკენ იარე, ცხრა მთას რომ
გადაივლი, გოგირდის თბილი წყაროს ქალაქში მიხ-
ვალ. იმ ქალაქში ერთი ფასკუნჯი ცხოვრობს, ყო-
ველ დღით ჩრდილოეთისაკენ გაფრინდება ხოლმე.
იმდენი უნდა იმარჯვო, იმ ფასკუნჯს ზურგზე მოაჯდე.
ფასკუნჯი ერთს ისეთს იწივლებს, ცა და ქვეყანა შეირ-
ყვება, მაგრამ არ შეშინდე, ერთი-ორი ჯადოსნური ფო-
თოლი შეაჭამე და ჩრდილოეთის ქალაქში მშვიდობიანად
ჩაგიყვანსო. იმ ქალაქში რომ ჩახვალ, ერთი საც-
რისთვალე ბაყბაყდვეი დაგიწყებს ძებნას, სახელად
ტრუ-ტრუ. თუ იმასაც მშვიდობით გადაურჩი, მერე
მიღეთის ხალხი დაგედება და მაგ ფოთლები სულ
თვალმარგალიტად გადაიქცევაო. ექვსასთუმნიან ლურ-
ჯასაც იმ ქალაქში იშოვნი და მერე შენ იცი და შენმა
სიმარჯვემ, თუ გახედნი და ჩამოიყვანო.

ვაჟი ისე მოიქცა, როგორც დედაბერმა დაარია და

ექვსი თვისა და ექვსი დღის შემდეგ ექვსასთუმნიან
ლურჯა მოაგელვა მზეთუნახავ მარგალიტას კოშკთან. მა-
გრამ მზეთუნახავმა უთხრა:

— მე იმას ვეცოდები, ვისაც ისეთი სარკე ექნება,
შიგ რომ ჩაიხედავ, ქვეყანაზე რა ხდება, ყველაფერი ჩან-
დესო.

რადას იზამდა ოქრო. დატვირთა ლურჯა ჯადოს-
ნური ხის ფოთლებით და ჩრდილოეთის ქალაქში გააქა-
ნა. ჩამოიტანა სარკე. მზეთუნახავმა უთხრა:

— მე იმას ვეცოდები, ვინც სახლს ისეთი ავეჯით
გაიწყობს, გოგირდის თბილი წყაროს ქალაქშიც რომ არ
იშოვებოდესო.

ეს ნატვრაც შეუსრულა ოქრომ. მზეთუნახავმა უთ-
ხრა:

— მე იმას ვეცოდები, ვინც გოგირდის თბილი წყა-
როს ქალაქში ამიგებს კოშკს, აქაურ ქაჯებში ცხოვრე-
ბა აღარ მინდა, ტალახის ზელა მომეზრდაო.

დაღონდა ოქრო. კუდიანმა დედაბერმა მისი გასაჭი-
რი შეიტყო და დაარია: გოგირდის თბილი წყაროს ქა-
ლაქში ჩადი, იქ ერთი თვალთმაქცი ვაჭარი ცხოვრობს.
თუ იმდენს იმარჯვებ, იმ ვაჭარს თავს მოაწონებ, ის უშ-
ველის შენს გაჭირვებასო. მოახტა ოქრო თავის ლურჯას,
ჩაივლიდა ქალაქში, ეძებდა, ეძებდა და მიაგნო თვალთმაქცი
ვაჭრის სადგომს. ვაჭარმა უთხრა:

— სამ რამეს გკითხავ. თუ სწორად მიბასუხე, ჩემს
შეგირდად აგიყვან, ჩემს ბროლის კოშკს გიფეშქამებ
და ჩემს მზეთუნახავ ასულს შეგრთავ ცოლად, მის მნახ-
ველს შენი გორსალა მარგალიტა აღარც გაგახსენდესო.
თუ სწორად ვერ მომიგე, ტრუ-ტრუ დევის ხელში ჩაგაგ-
დებ და ლურჯაც ოხრად დაგრჩება, სარკეც, ავეჯიც და
საკუთარი თავიცო.

— მიბრძანეო, — მიუგო ოქრომ.

— პირველი: ყველაზე ჭკვიანი ვინ არის?
მეორე: ყველაზე სულელი ვინ არის? მეესამე:
ორჯერ ორი რამდენიაო?

იფიქრა, იფიქრა ოქრომ და მოახსენა:

— ყველაზე ჭკვიანი ის არის, ვინც იცის, რამდენია
ორჯერ ორი. ყველაზე სულელი ის არის, ვისაც
ორჯერ ორი მანისდამანისც ოთხი ჰგონია. ორჯერ
ორი იმდენია, რამდენსაც შენ იხეებებ, რომ იყოსო.

— აფერუმ შენს ჭკუას, ჩემო ოქრო, კაცური კაცი
შენ ყოფილხარო.

დასახლდა ოქრო ბროლის კოშკში, შერთო ცოლად
თვალთმაქცი ვაჭრის ასული. იმ ოჯახში დღესაც გაუთა-
ვებელი ლხინი და დროსტარებაა და ცხოვრობენ ბედ-
ნიერად.

ამ. მგელაძე

ნატალია — (ნატო) — ჩრდილოეთ ატ-
ლანტიკის 20 წლის სახელგატეხილი საპატარ-
ძლო — სემს-ბომბა!
(აქვს ტრილიონ ორას ორმოცდათი
მილიარდი დოლარი მზითევი).

